როცა მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ასრულებდა ფაჯრის (დილის) ლოცვას, რჩებოდა სალოცავ ადგილზე მანამ, სანამ მზე არ ამოდიოდა და არ განათდებოდა სრულად

ჯაბირ იბნ სამურასგან გადმოცემულია (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი): როცა მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ასრულებდა ფაჯრის (დილის) ლოცვას, რჩებოდა სალოცავ ადგილზე მანამ, სანამ მზე არ ამოდიოდა და არ განათდებოდა სრულად. ასევე გადმოცემულია: ის არ დგებოდა იმ ადგილიდან, სადაც ასრულებდა დილის ლოცვას, სანამ მზე არ ამოდიოდა. როცა მზე ამოდიოდა, მაშინ დგებოდა. ამ დროს საჰაბები ესაუბრებოდნენ ერთმანეთს, იხსენებდნენ ჯაჰილიის (ისლამამდელი დროის) საქმეებს, და იცინოდნენ, ხოლო მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ღიმილით უსმენდა მათ.

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) სუნნათიდან არის ის, რომ როცა ის დილის ლოცვას ლოცულობდა, ის იჯდა ლოცვის ადგილას მანამ, სანამ მზე კარგად არ ამოვიდოდა, ის არ დგებოდა იმ ადგილიდან, სადაც დილის ლოცვას ლოცულობდა, სანამ მზე არ ამოვიდოდა. როცა მზე ამოვიდოდა დგებოდა, საჰაბები ესაუბრებოდნენ ერთმანეთს და იხსენებდნენ გარკვეულ ამბებს ისლამამდელი დროიდან, ხოლო ის ჩუმად იყო. ისინი იცინოდნენ, და ზოგჯერ მას მათთან ერთად ეღიმებოდა.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/65411